საქართველოს მთავრობის განკარგულება

№ 2558 2018 წლის 28 დეკემბერი ქ. თბილისი

პირებისთვის, რომელთა შრომის ანაზღაურების გაანგარიშება დაკავშირებულია შესრულებული სამუშაოს მოცულობასთან/ღირებულებასთან (ნამუშევარი საათების, მომსახურების საფასურის წილის ან/და სხვა მაჩვენებლის მიხედვით), „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულისაგან განსხვავებული წესის დადგენაზე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

1. „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს მიეცეს თანხმობა, პირებისთვის, რომელთა შრომის ანაზღაურების გაანგარიშება დაკავშირებულია შესრულებული სამუშაოს მოცულობასთან/ღირებულებასთან (ნამუშევარი საათების, მომსახურების საფასურის წილის ან/და სხვა მაჩვენებლის მიხედვით), დაადგინოს „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ"

საქართველოს კანონით განსაზღვრულისაგან განსხვავებული წესი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. განკარგულება ძალაშია 2019 წლის 3 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**

დანართი

2018-2019 სასწავლო წლის ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაზე დასაქმებული პირების შრომის ანაზღაურების ტარიფები

N	დასახელება	ღირებულება ლარებში	შენიშვნა
1	მეთვალყურე	25	ერთი სესიის (2-5 საათი) ღირებულება
2	პასუხისმგებელი პირი	მინიმალური ხელფასი 63 ლარი	აღნიშნული პირი იგზავნება თბილისიდან მუნიციპალიტეტებში. პასუხისმგებელ პირებს ენიშნებათ განსხვავებული ხელფასი რომელშიც გათვალისწინებულია სასტუმროს და გზის ხარჯი, აქედან გამომდინარე ხელფასები განსხვავებული იქნება რეგიონების მიხედვით (მინიმუმ 63 ლარი, მაქსიმუმ დღეში 160 ლარი)
3	დავალების გამსწორებელი	50	I-II გამსწორებელის დღიური ხელფასი, გამსწორებლის ხელფასი დამოკიდებულია გასწორებული დავალებების რაოდენობაზე, მაქსიმუმ დღეში 50 ლარი
4	დავალების გამსწორებელი	63	III გამსწორებელის დღიური ხელფასი, გამსწორებლის ხელფასი დამოკიდებულია გასწორებული დავალებების რაოდენობაზე, მაქსიმუმ დღეში 63 ლარი
5	ტესტის მთარგმნელი	22.5	ერთი გვერდის ღირებულება
6	ოლიმპიადის ჟიურის წევრი	375	დღიური ხელფასი
7	სააპელაციო კომისიის წევრი	190	დღიური ხელფასი
8	ექსპერიმენტული ტურის სპეციალისტი (ფიზიკა, ქიმია)	63	დღიური ხელფასი
9	საგნის ექსპერტი	150	თვიური ხელფასი
10	ლოჯისტიკის სპეციალისტი (ოპერატორი)	25	ანაზღაურება 4 საათში